სარეკლამო აგენტი

პროგრამის მიზანი

წინამდებარე პროგრამა მიზნად ისახავს სპეციალისტთა მომზადებას, რომლებასაც შეეძლება მიღებული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით სოციალური, სამართლებრივი და პროფესიული კომპეტენციების ფორმირება, რაც აუცილებელია სარეკლამო აგენტის საქმიანობისას. ამასთან, კურსდამთავრებული იზრუნებს მომხმარებლის კმაყოფილებაზე, შეურჩევს მათ მათთვის სასურველ რეკლამის სახეს და უზრუნველყოფს მის დამზადებას მომხმარებლისათვის ხელსაყრელი პირობების გათვალისწინებით..

პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა

პროგრამის მოცულობაა 3 კრედიტი (სულ 75 საათი, მათ შორის საკონტაქტო საათების რაოდენობაა 75, აქედან: თეორიული მეცადინეობა - 36 საათი, პრაქტიკული მეცადინეობა - 36, გამოცდა - 3 საათი).
პროგრამის ხანგრძლივობაა 60 დღე.
სწავლა წარმოებს კვირაში 4 დღე. მეცადინეობის ხანგრძლივობა დღეში შეადგენს 3 საათს (კვირაში 12 საათი).

სასწავლო კურსის განხორციელებისა და სწავლების მეთოდოლოგია

სწავლების მეთოდოლოგია მოიცავს სალექციო სწავლებასა და სამუშაო ჯგუფში ან ინდივიდუალურად მარტივ სარეკლამო პროექტებზე მუშაობას. მსმენელები სარეკლამო საქმიანობის შესწავლასთან ინტეგრირებულად, შეისწავლიან საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგებთან მუშაობის, რეკლამის მომზადებისა და განთავსების ტექნიას.
სასწავლო პროცესი ემყარება შემდეგ მეთოდებს:

- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხობს კონკრეტული სარეკლამო ტექსტების მომზადებას;
- ჯგუფური მუშაობა - დისკუსია, გონებრივი იერიშის მეთოდების, ასევე კითხვა-პასუხისა და როლური თამაშებისა და საქმიანი სიტუაციების ინსცენირების სახით, რაც წარმოადგენს აზროვნების განვითარების საუკეთესო საშუალებას;
- დემონსტრირების მეთოდი - გულისხმობს სალექციო თემის ირგვლივ არსებული მასალის, პრეზენტაციის და სხვა სასწავლო მასალის გამოყენებასა და ჩვენებას, რაც აადვილებს სასწავლო მასალის აღქმას.

- ბეჭდვითი სამუშაოების შესრულება, რომელიც გულისხობს კონკრეტული სავარჯიშოების კომპიუტერთან შსრულებას.
- რეკლამის პროექტზე მუშაობას.

ყოველი თემის ბოლოს ტარდება შეფასება, მიწოდებული მასალის ათვისების შესამოწმებლად. პროგრამის დასრულების ბოლოს ტარდება ბიზნეს პროექტის პრეზენტაცია, რის საფუძველზეც გაიცემა სერტიფიკატი.

სწავლება მიმდინარეობს მცირე ჯგუფებში.

სწავლის საფასური:

ჯგუფში მსმენელთა **მინიმალური** რაოდენობაა - **5**
ჯგუფში მსმენელთა **მაქსიმალური** რაოდენობაა - **25**
26 და მეტი მსმენელის შემთხვევაში შედგება ახალი ჯგუფი.

<u>ერთი მსმენელის ღირებულება შეადგენს 950 ლარს</u>

სწავლების ენა - ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22;

სწავლის შედეგები

<u>ცოდნა და გაცნობიერება</u>

იცის:

- სარეკლამო ინდუსტრიის სფეროს არსი და თავისებურებები
- მიზნობრივი სარეკლამო აუდიტორიის შერჩევისა და ჯგუფებად დაყოფის წესები
- სარეკლამო ტექსტის შედგენის წესები
- რეკლამის ბიუჯეტის განსაზღვრის წესები
- სარეკლამო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი საფუძვლები
- სოციალური რეკლამის დაგეგმვის მეთოდები

- პოლიტიკური რეკლამის დაგეგმვის მეთოდები
- მომხმარებელთან უშუალო ურთიერთობის წარმართვის წესები

<u>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</u>
<u>შეუძლია:</u>

- სარეკლამო სააგენტოების საქმიანობის ანალიზი
- მიზნობრივი სარეკლამო აუდიტორიის შერჩევა და ჯგუფებად დაყოფა
- სარეკლამო ტექსტის შედგენა
- რეკლამის ბიუჯეტის განსაზღვრა
- სოციალური რეკლამის დაგეგმვა
- პოლიტიკური რეკლამის დაგეგმვა
- სწორი მარკეტინგული კომუნიკაციის წარმოება
- მომხმარებელთან უშუალო ურთიერთობის წარმართვა
- საცალო გაყიდვების არხების გამოყენება სარეკლამო ინდუსტრიაში
- ინტერნეტ გაყიდვების გამოყენება სარეკლამო საქმიანობაში
- რეკლამის გავრცელების არხების შერჩევა და განთავსება
- რეკლამის დამკვეთთან, რეკლამის მწარმოებლებსა და რეკლამის გამავრცელებლებთან საქმიანობის ორგანიზება
- რეკლამის დამკვეთის, რეკლამის მწარმოებლის და რეკლამის გამავრცელებლების საქმიანობის ურთიერთდაკავშირება

<u>კომუნიკაციის უნარი</u>
<u>შეუძლია:</u>

- სარეკლამო სფეროს წარმომადგენლებთან ურთიერთობა;
- რეკლამის დამკვეთთან ურთიერთობის წარმართვა;
- მიზნობრივ მომხმარებელთან კომუნიკაციის დამყარება

მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

შეფასების სქემა

- ✓ სერტიფიცირების პროცესი ტარდება ტესტირებით;
- ✓ ტესტი კომბინირებულია და მოიცავს როგორც ღია ასევე დახურულ კითხვებსა და პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულებას;
- ✓ კითხვები ფასდება სირთულის მიხედვით 0,5 ქულიდან 2 ქულის ფარგლებში, ხოლო პრაქტიკული სავარჯიშო - 3 ქულით;
- ✓ ტესტირებისთვის განსაზღვრული ქულების ფარგლებში, დადებითი შეფასების მოპოვების წინაპირობაა დადგენილ ქულათა ნახევარზე მეტის დაგროვება, რომელთაგან სავალდებულოა პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულება.)

ტესტირებისას არადამაკმაყოფილებელი შედეგის მიღების შემთხვევაში პირს უფლება აქვს განმეორებით გავიდეს გამოცდაზე 10 დღის ვადაში. განმეორებით გამოცდაზე მიღებული შედეგი საბოლოოა.

<u>სერტიფიცირების პროცესი</u>

სერტიფიცირების პროცესის მიმდინარეობას აკვირდება სერტიფიცირების კომისია, რომლის შემადგელობაში შედიან როგორც დარგის სპეციალისტები, ისე პოტენციური დამსაქმებლები.

საკონტაქტო ინფორმაცია: ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22 (ოთახი 109),
ტელეფონი:
2 40 34 40, 2 40 33 40, ელფოსტა: info@sba.edu.ge